პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 106 (19847) პარასკევი, 8 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუმეო გაფოლაჩინა



ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ

ლიდი ქართველი მწერლის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნომ მიიღო სპეციალური დადგენილება.

ამ დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირში ი. ჭავჭავაძის იუბილეს მომზადებისა და მოწყობისათვის შექმნილია საკავშირო საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ვ. კარპოვი, თავმჯდომარის მოადგილეები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. სუროვცევი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ციციშვილი, საიუბილეო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის კონსულტანტი ხ. გაგუა.

კომიტეტის წევრები — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი. აბაშიძე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. აიიმბაოვი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. ახაიანი, ჟურნალ „ზნამიას“ მთავარი რედაქტორი ბ. ბაკლანოვი, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორი ხ. ბარუზდინი, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ მთავარი რედაქტორი ა. ბელიაევი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ბონდარევი, ესტონეთის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბეგ�მანი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ვერჩენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. ვორონოვი, დაღესტნის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რ. ჰამზათოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ა. გონნარი, ჟურნალ „იუნოსტის“ მთავარი რედაქტორი ა. დემენტიევი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი მ. დუდინი, თურქმენეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. დურდიევი, ჟურნალ „ნოვი მირის“ მთავარი რედაქტორი ს. ზალიგინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ვ. ზახაროვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან არსებული ქართული ლიტერატურის საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვეტუშინკო, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ვ. ისაევი, ტაჯიკეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი მ. კანოატოვი, ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი ვ. კოროტიჩი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ლ. ლეონოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ე. მეჟელაიტისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ნ. მეძმარიაშვილი, პოეტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. მეკეროვი, რსფსრ კულტურის მინისტრი ი. მელენტიევი, რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. მიხალკოვი, სსრ კავშირის გამსახლობის თავმჯდომარე მ. ნენაშევი, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. პალეევი, ლატვიის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. პეტერსი, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. პეტროსიანი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი რ. როჟდესტვენსკი, ყაზახეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი რ. სულეიმენოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. თავხელიძე, ბელორუსიის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. ჩიგრინოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ისმაილ შინლი, გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი ა. ჩაკოვსკი, მოლდავეთის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ი. ჩობანუ, მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი კამილ იაშენი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე.

საკავშირო საიუბილეო კომიტეტს დაევალა საქართველოს მწერალთა კავშირთან, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის ბიუროსა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის საბჭოსთან ერთად შეადგინონ ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმა.

მიმდინარე წლის ნოემბერში ქ. მოსკოვში, სსრ კავშირის ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრში მოეწყობა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საიუბილეო საღამო მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებისა და უცხოელი სტუმრების მონაწილეობით. სსრ კავშირის უცხოთის კომისიას დაევალა სათანადო გეგმის შედგენა.

მოსკოვში გასამართავი საზეიმო საიუბილეო საღამოს ლიტერატურული ნაწილის ორგანიზება დაევალა საქართველოს მწერალთა კავშირს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს და ქართული ლიტერატურის საბჭოს, საიუბილეო საღამოს მხატვრული ნაწილისა კი — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი მოაწყობს გადაცემებს, მიძღვნილს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, „მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას“, გამომცემლობებს „სოვეტსკი პისატელს“, „რადუგას“, და „სოვეტსკაია ლიტერატურას“ დაევალათ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა.

გაზეთებს „ლიტერატურნაია გაზეტას“ და „ლიტერატურნაია როსიას“, ჟურნალებს „ნოვი მირს“, „ზნამიას“, „ზვეზდას“, „დრუჟბა ნაროდოვს“, „პოპროსი ლიტერატურის“, „იუნოსტს“, „ლიტერატურნოე ობოზრენიეს“, „ლიტერატურნაია უჩებას“, „დეტსკაია ლიტერატურას“, „სოვეტსკაია ლიტერატურა ნა ინოსტრანნიხ იზიკახს“ და „ტვატრს“ დაევალათ ფართოდ აღნიშნონ ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი.

მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირებს მიეცათ მითითება, რათა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ფართოდ აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის იუბილე, მოეწყოს საზეიმო საიუბილეო საღამოები, ილია ჭავჭავაძის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ მასალათა ფართო პუბლიკაცია. (საკდესი).

წესრიგისათვის პასუხს აგებს თითოეული

კოლექტიური გარანტია — დისციპლინას

ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მაღაროელთა ცვლაში, რომელსაც კარლო ნეფარიძე მეთაურობს. საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ლენინის სახელობის მაღაროთასამმართველოს ამ კოლექტივის წევრები სისტემატურად ასრულებენ დაძაბულ დავალებებს, უზრუნველყოფენ შრომის ეფექტიანობის სტაბილურ ზრდას. ამ საქმეში მათი მოკავშირე გახდა მტკივე დისციპლინა.

ჩინებული ორგანიზებულობა, სიზუსტე, შემსრულებლობა დიდი ხანია ჩვენი მუშაობის საფუძველი გახდა, — თქვა ბრიგადირმა. — სამუშაო ღლის ბოლოს მნორმავები სპეციალურ ფურცლებზე კიდებენ თითოეული ბრიგადის მუშაობის „რუკას“, რომელზეც ასახულია მუშაობაში ამა თუ იმ ნაკლოვანების წარმოშობი მიზეზებიც. დასახელებული არიან ისინი, ვისი მიზეზითაც დანიშნულებისამებრ არ იყენებენ ანდა არ არემონტებენ მოწყობილობას, მექანიზმებს. ვარაუდი სწორია — იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც თავიანთ საქმეს უხეიროდ აკეთებენ და ისინი სამზეოზე გამოვყავს, ზემოქმედების არავითარი სხვა ღონისძიება აღარ არის საჭირო, ნაკლოვანებანი მაშინვე აღმოიფხვრება.

ცვლის კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებს იმას, რომ დავალებანი უთუოდ უნდა შესრულონ არა მისმა ჯგუფმა წევრებმა, არამედ ყველამ. მუშაობაში ერთი კაკის ჩამორჩენაც კი უარყოფით გავლენას იმოქმედებს ყველას ხელფასზე. ჩამორჩენილი ადამიანებისადმი ცვლაში შექმნილია მეგზე ლევან ტალახაძისა და გვრიაბგამყვანი ალეფ შეკრების მონაწილეებთან ერთად მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები და გასაწვევთა მშობლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, გ. ა. მეტონიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ა. ბ. მაკაშოვი.

კრება გახსნა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა გენერალ-მაიორმა ლ. ლ. შარაშენიძემ.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდეგ დარბაზში შემოიტანეს მხედრული დიდების ალაზე შეკრების მონაწილეებთან ერთად მოვიდნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები და გასაწვევთა მშობლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, გ. ა. მეტონიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს

მხედრული ტრადიციების მემკვიდრენი

გასაწვევი ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება

გამარჯვების დღესასწაულის წინ დიდი სამამული ომის ვეტერანებთან ერთად, რომლებიც ვედავდნენ ამ გამარჯვებას, თბილისის ლენინის ბოლევარზე და გამარჯვების პარკში მოვიდნენ ისინი, ვინც ღღეს უნდა განაგრძოს უფროს თაობათა მხედრული გმირობა. 6 მაისს რევოლუციის ბელადის ძეგლისა და უცნობი ჯარისკაცის საფლავის მეძრონალის გვირგვინებით შემკობით დაიწყო გასაწვევი ახალგაზრდობის ტრადიციული რესპუბლიკური შეკრება.

მომავალ არმიელ ამხანაგებთან გაცნობა, მხედრული სადაგი დღეებისათვის მზადების შესახებ სჯაბაასი, საშობლოსათვის სისხლისმღვრელი ბრძოლების მონაწილეებთან საუბრები გაგრძელდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში. აქ საზეიმო კრებაზე მოვიდა ოფიციალური სტუმარი — ბელორუსიის სსრ კულტურის მინისტრი ვ. ზახაროვი.

ჩინებული ორგანიზებულობა, სიზუსტე, შემსრულებლობა დიდი ხანია ჩვენი მუშაობის საფუძველი გახდა, — თქვა ბრიგადირმა. — სამუშაო ღლის ბოლოს მნორმავები სპეციალურ ფურცლებზე კიდებენ თითოეული ბრიგადის მუშაობის „რუკას“, რომელზეც ასახულია მუშაობაში ამა თუ იმ ნაკლოვანების წარმოშობი მიზეზებიც. დასახელებული არიან ისინი, ვისი მიზეზითაც დანიშნულებისამებრ არ იყენებენ ანდა არ არემონტებენ მოწყობილობას, მექანიზმებს. ვარაუდი სწორია — იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც თავიანთ საქმეს უხეიროდ აკეთებენ და ისინი სამზეოზე გამოვყავს, ზემოქმედების არავითარი სხვა ღონისძიება აღარ არის საჭირო, ნაკლოვანებანი მაშინვე აღმოიფხვრება.

ცვლის კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებანი ითვალისწინებს იმას, რომ დავალებანი უთუოდ უნდა შესრულონ არა მისმა ჯგუფმა წევრებმა, არამედ ყველამ. მუშაობაში ერთი კაკის ჩამორჩენაც კი უარყოფით გავლენას იმოქმედებს ყველას ხელფასზე. ჩამორჩენილ ადამიანებისადმი ცვლაში შექმნილია მეგზე ლევან ტალახაძისა და გვრიაბგამყვანი

ქარელის № 40 პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ

ქარელის № 40 პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კომკავშირელმა ტარიელ შათირიშვილმა „გორის რაიონის ძეგერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. აქედან სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ მშობლიური სოფლის საბჭოთა მეურნეობაში განაგრძო მუშაობა და მეურნეობის მოწინავე მექანიზატორთა შორის ჩადგა. ახლა ტ-25 მარკის ტრაქტორით ბერბიცადები შეაქვს ხეხილის ბაღებში და ყოველდღიურ გეგმას ორმაგად ასრულებს.

სურათზე: ტ. შათირიშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

არჩევნებისწინა შრომითს ვასტზე

ორი წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის

ზნაური. (საკ. კორ.). „საქტალკის“ წნელისის საწარმოს მაღაროელები გულმოდგინედ შრომობენ იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად შეასრულონ მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალება. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინადღეებში აქ ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. პირველ კვარტალში ჩვენი ქვეყნის ქიმიურ საწარმოებს გაეგზავნა 4500 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ტალკის პროდუქცია. ეს მნიშვნელოვნად სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს, წელს ტალკის მომპოვებლები 19 ათასი ტონა პროდუქციის რეალიზაციისათვის შრომობენ. დაწინაურდნენ ტალკის შემფუთავები ფედოსი გაგლოევი, კობა გელაშვილი, დამფქველები აკაკი მჭედლიძე, ლონგი კულუმბეგოვი, ვიკი გაჩეჩილაძე, ხარატი ნიკოლოზ მჭედლიძე და სხვები.

ყოჩაღლობენ ფერმის მუშაკები

ბალის რაიონის ფერმის მუშაკებმა გამოზამთრების პერიოდში ფართოდ გააჩაღეს წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის პროდუქტიულობის გასაადიდებლად.

ამ მხრივ სანიმუშო მაგალითს იძლევიან გუდაკის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის მუშაკები, საკვებმომპოვებლებმა პირუტყვის მაძღრისად გამოზამთრებისათვის ფერმა დროულად მოამარაგეს თივით, სილოსით, სხვა სახის საკვებით.

ფერმის უნარიანი მუშაკების თვალსაჩინო წარმატებები მეურნეობის ადმინისტრაციას უყურადღებოდ არ დარჩენია. მეწველავები ზ. ანთია, ლ. ჩხვირაია, ფ. ხაბურზანია, ლ. ქუთელია დასაჩუქრდნენ ფასიანი და ფულადი საჩუქრებით.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ფერმის მუშაკებმა ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრეს — შარშანდელთან შედარებით თითოეული ფურის წველადობა გაზარდონ 120 კილოგრამით, ხორცის ჩაბარება — 16 ტონით.

ასეთსავე სანიმუშო მაგალითს იძლევიან პირველი გალის მეცხრუსეობის საბჭოთა მეურნეობის, კონსტატუციის სახელობის კოლმეურნეობის და რაიონის სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების მეცხოველეები.

შ. კვარაცხელია,
ომისა და შრომის ვეტერანი.

... ილია ჭავჭავაძის 150

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ბ. სეპულვედა

6 მაისს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდო სეპულვედა.

სტუმართან მისაღმებისას მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი უფრო შეტს ნიშნავს, ვიდრე საბჭოთა კავშირ-მექსიკის რეგულარული ურთიერთობის დადასტურებას. ჩვენ ვუფრთხილდებით ამ ურთიერთობის განვითარებას და გვინდა, რომ იგი კვლავაც უმჯობესდებოდეს. რაკი კონკრეტული საკითხები უკვე განიხილეს ბ. სეპულვედამ და ე. ა. შევარდნაძემ, რომლებიც ამ დღეებში ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მ. ს. გორბაჩოვმა შესთავაზა ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ აზრი საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობის კონცეფციულარ პრობლემებზე.

ჩემი აზრით, თქვა მან, მსოფლიოს შევთავაზეთ მოქმედების არა კონიუნქტურული კონცეფცია, არა ეგოისტური პროგრამა, არამედ ხანგრძლივი და რაციონალური პოლიტიკა, რომელიც ყველას მოუწოდებს ეძებონ გზები ახალ აზროვნებაზე დაფუძნებული ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე გასასვლელად, და ამ ახალი აზროვნების რეალიზაციის სკოლაში უკვე ბევრი ზოგიერთი გაკვეთილი, შეიძინეთ გარკვეული გამოცდილება.

ორი წლის განმავლობაში შეეხვდით დასავლეთ ევროპის, აზიისა და ამერიკის, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა სოციალისტური სახელმწიფოების ლიდერებსა და სხვა მოღვაწეებს, გვქონდა დაახლოებით ასი საუბარი, იქმნება შეხვედულებათა და მიდგომის საინტერესო პალიტრა. თუ მათ შორის განვაზოგადებთ მთავარს, შეიძლება ასე ვთქვათ, არის რთული ვითარების გაგება. არის შეშფოთება ბირთვული საფრთხის გამო. ყველა ხედავს, რომ ნორმალური არ არის ეკონომიკური ურთიერთობა მსოფლიოში, არის კოლოსალური დავალიანება. აღიარებენ ეგრეთწოდებული კონფლიქტების საშიშროებას და ეთანხმებიან, რომ პოლიტიკური მოწესრიგება ერთადერთი მისაღები გზაა. შეშფოთებული არიან ეკოლოგიური სიტუაციის გამო. ზოგიერთი არც კი უარყოფს, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის ინფორმაციის სისტემასთან დაკავშირებით.

თუ რაგორ გავართვათ თავი პრობლემებსა და საშიშროებას, პოზიციები, დასავლეთის წარმომადგენლებთან დისკუსიებში მკვეთრად იცვლება. თუმმე, ბირთვული საფრთხე ცუდია, მაგრამ ბირთვული იარაღი „უნდა დარჩესო“. განვითარებულ და განვითარებადს სამყაროს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში ცდილობენ შეინარჩუნონ არაეკვივალენტური გაცვლის სიტუაცია, რათა განაგრძონ ნეოკოლონიალისტური ექსპლოატაცია. სურთ რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგება, მაგრამ იმ ქვეყნების ინტერესების საზიანოდ, სადაც ეს ხდება. რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლს, ისინი „თავისუფლების“ მომხრენი არიან, მაგრამ ისე, რომ ვიწრო ჯგუფების ხელში დარჩეს მონოპოლია ამ სფეროში, რომელიც საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების შესაძლებლობას მისცემს.

აი აქ არის ყველა სიძნელის თავიდათავი. და აქედან გამოსავალია მხოლოდ ახალი აზროვნების გზაზე დადგომა, რომელიც მოითხოვს რეალობათა და ინტერესების ბალანსის აღიარებას, ორმოცი წლის წინათ დასავლეთის ლიდერთა მიერ ჩამოყალიბებულ დოქტრინებზე უარის თქმას. ახლა ფუჭი საქმეა, აგებდე საერთაშორისო ურთიერთობას მხოლოდ დასავლეთის დიდად განვითარებულ სახელმწიფოთა ინტერესებზე.

ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, სულაც არა ვთვლი იმის მომხრე, რომ ვინმეს შევთავაზოთ რაღაც ულტრარადიკალური მეთოდები. ჩვენ, მაგალითად, არავის არ ვეუბნებით ავფეთქოთ ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირურთიერთობა განვითარებულ დასავლეთსა და განვითარებად სამხრეთს, შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკას შორის. მაგრამ იგი უნდა გარდავქმნათ, რათა გამოვიდეთ ნეოკოლონიალიზმის მიერ შექმნილი სიტუაციიდან, რათა ყველას მივცეთ შესაძლებლობა განაგოს თავისი მატერიალური და ადამიანთა რესურსები საკუთარი ხალხების ინტერესებისათვის. მ. ს. გორბაჩოვმა მთლიანად დაუჭირა მხარი თანამოსაუბრის აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წყობა.

მსოფლიო გაერთიანება ახლა განიცდის თავის განვითარების ურთულეს პერიოდს. საჭიროა პასუხისმგებლობა და რეალიზმი. არის ორი ფუძემდებელი პრინციპი, რომლებიც განასხვავებს რეალისტურ პოზიციას, — საკუთარი, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებასა და სხვათა ინტერესების პატივისცემას. ეს მეტად ძლიერი, სამართლიანი პოზიციაა, და მას დავიცავთ. იგი არ მოსწონთ მხოლოდ იმათ, ვისაც ხელი არ აუღია იმპერიულ ამბიციებზე და განსაზღვრავს „თავისი საარსებო ინტერესების ზონებს“, ავიწყდება, რომ ყველას აქვს რეალური დამოუკიდებლობისა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის უფლებაც.

ბ. სეპულვედამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გადასცა მექსიკის პრეზიდენტის მ. დე ლა მადრიდის პირადი წერილი. გაეცნო რა მას, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ძალიან ახარებს ასეთი წერილი. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირი და მექსიკა ერთმანეთისაგან შორს არის, სხვადასხვა კონტინენტზე მდებარეობს და სხვადასხვა სოციალურ სისტემის განეკუთვნება, მათ, თურმე, ბევრი რამ საერთო აქვთ თანამედროვე სიტუაციის შეფასებასა და უშიშროების, საერთაშორისო თანამშრომლობის, განიარაღებისა და განვითარების მწვავე პრობლემების გადაწყვეტაზე შეხედულებებში.

მ. ს. გორბაჩოვი განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ლათინურ ამერიკაში ჩაღდება კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც აძლიერებს მის უნარს თავისებურად, ლათინურამერიკულად წყვეტდეს ეროვნულ და კონტინენტურ პრობლემებს, მსოფლიოს სხვა ნაწილებთან, სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის პრობლემებს.

ჩვენ ვეფასებთ, აღნიშნა მან, მექსიკის საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლობასა და აქტიურობას, ამასთან გვესმის, რომ ობიექტური გარემოებანი მას შეაძლებლობას არ აძლევს მთლიანად გამოავლინოს თავისი მშვიდობისმოყვარული და პროგრესული პოტენციალი. მაგრამ მაინც მისი წვლილი ლათინურამერიკულ პროცესში, მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობის ნორმალიზაციაში, მათ შორის „დელის ექვსეულის“ ფარგლებში, კონტადორული ჯგუფის შემადგენლობაში, შესამჩნევი და მნიშვნელოვანია. იგი ემსახურება მექსიკის ეროვნულ ინტერესებს და ცხადყოფს მის პასუხისმგებლობას მსოფლიოს მოვლენების საერთო მიმდინარეობისათვის. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის ბრძოლის შედეგს, რომ გაიხსნას საშიში კვანძი ცენტრალურ ამერიკაში, და, განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს ძალისხმევას, რომლის მიზანია გამირიცხოს ინტერვენცია და აგრესია ნიკარაგუას პრობლემებისადმი მიდგომაში.

შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

განმარტა რა საბჭოთა კავშირის ინტერესი ლათინური ამერიკისადმი, სურვილი იქონიოს მასთან კეთილი ურთიერთობა, მ. ს. გორბაჩოვმა გაიცინა ისინი, ვინც ცდილობს დაამკვიდროს დამახინჯებული წარმოდგენა, თითქოს გვსურდეს იქ „სოციალისტური რევოლუციების“ სერიის მოწყობა. ეს არ ეთანხმება იმას, რასაც სინამდვილეში ვაკეთებთ, ძირეულად ეწინააღმდეგება ჩვენს თეორიას, ჩვენს პრინციპებს, ახალ აზროვნებას, მთელ ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას. მსოფლიო რთული და მრავალფეროვანია, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, როცა შეაჯამა ერთობლივი მსჯელობის შედეგი. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს მრავალფეროვნება ნაკლი კი არა, პოზიტივია. დაე თითოეულმა დაამტკიცოს, რომ მისი არჩევანი უკეთესია, ხოლო თუ სურს და შეუძლია, დაე გაითვალისწინოს სხვების გამოცდილება. მით უმეტეს, რომ ეს სულ უფრო საჭირო ხდება, რადგან მსოფლიოში ურთიერთდამოკიდებულება ძლიერდება.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობას, იგი, როგორც ბ. სეპულვედამ აღნიშნა, ნამდვილად მომზიფებულია, ემყარება ერთმანეთის პატივისცემას. ეს არის მისი ხანგრძლივი განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპი, რომელიც დროს გაიზარდა ტრადიციის დიდი ხე, რომელიც, უნდა ითქვას, მოითხოვს მუდმივ ყურადღებასა და კარგ მოვლას.

სტუმართან გამთხოვებისას მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის ყველა მიმართულებით უფართოეს და მრავალმხრივ თანამშრომლობას. მას აქვს ისეთი ღრმა საფუძველიც, როგორიცაა საბჭოთა ადამიანების სიმპათიები მექსიკელი ხალხისადმი, ინტერესი მისი ისტორიის, ხელოვნების, კულტურის, წეს-ჩვეულებებისად მ. მექსიკისა და სსრ კავშირის თანამშრომლობა, თქვა მან, გვჭირდება ჩვენ, სჭირდება მთელ მსოფლიოს.

საუბარში მონაწილეობდა ე. ა. შევარდნაძე. (საკდესი).

... ...

...ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲣᲛᲖᲔᲝ ᲓᲘᲚᲐᲡ ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲝᲓᲐ

ᲐᲡᲝᲑᲘᲗ დიდი და პატარა ადამიანის ბიოგრაფიის ნათელი ფურცლები გასაოცარი თავმდაბლობის, არჩეული იდეალის ერთგულების, უმწყვალო ავტორიტეტის მაგალითია. ასეთი დიდებული პორტრეტები რომ არა, ცხოვრება უმზეო დილას დაემსგავსებოდა...

კარგად არის ცნობილი, თუ როგორ სთხოვეს კარლ მარქსს მისმა ქალიშვილებმა ჯანამ და ლაურამ ეთქვა, თუ რომელ თვისებას აფასებდა იგი ყველაზე მეტად ადამიანებში. მარქსმა ერთი სიტყვით უპასუხა: „ბრალოება“.

გავიხსენოთ ფრიდრიხ ენგელსი. მას არ უყვარდა, როცა „თქვენობით“ მიმართავდნენ ამხანაგები და მეგობრები. ერთ-ერთი მეგობრისადმი გაგზავნილ ბარათში იგი წერს: „ძვირფასო მეგობარო იგლესია! შენი წერილი დროულად მივიღე და გწერ პასუხს გაფრთხილებით, რომ ეს წერილი იქნება უკანასკნელი, თუ ჯიუტობას განაგრძობ და კვლავაც „თქვენობით“ მომმართავ“. 1894 წლის 21 მაისს კი მან პლეხანოვს გაუგზავნა მოკლე ბარათი „ძვირფასო პლეხანოვ, უწინარეს ყოვლისა, გთხოვთ თავი დაანებოთ ჩემთვის „მასწავლებლის“ წოდებას. მე მხოლოდ ენგელსი ვქვია“.

გავიხსენოთ ჩვენი დიდი ილია. ცნობილია, რომ მან უარი თქვა თავისი სამოცი წლისთავის იუბილეს გადახდაზე. ვინ იტყვის, რომ მან არ იცოდა თავისი თავის ფასი? მაგრამ მას არ მიაჩნდა საჭიროდ, რომ მისი იუბილე ზარზეიმით აღნიშნულიყო. ასე მოიქცა ერის დიდი შვილი.

ერთ ადამიანს კი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს — ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი უკვდავი ცხოვრების ყოველი შტრიხი უტაყვარი კომპასია კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

1920 წლის აპრილია. მიმდინარეობს პარტიის IX ყრილობა. სხდომის თავმჯდომარემ ყრილობის დახურვაც კი ვერ მოასწრო, რომ დელეგატებმა წინადადება შეიტანეს, რაკი ლენინის დაბადების 50 წლისთავის დღე დგება, ეს თარიღი ზეიმით აღვნიშნოთ. რევოლუციის ბელადი ამ ფაქტს უარყოფითად შეხვდა და ასეთი წინადადება შეიტანა: ამხანაგებო, ჯობს ვიმღეროთ „ინტერნაციონალი!“

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად იმღერეს ეს უკვდავი ჰიმნი, მაგრამ მერე მაინც დაიწყეს მილოცვა. ორი ორატორის გამოსვლის შემდეგ ლენინმა განაცხადა, რომ ეს სრულიად საკმარისია და წინადადება წამოაყენა, ელაპარაკათ მხოლოდ პარტიულ და საბჭოთა მშენებლობის საარსებო საკითხებზე. დელეგატები არ დათანხმდნენ. მათ უნდოდათ გამოეთქვათ თავიანთი გრძნობები, მხურვალე სიყვარული მისადმი. მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ დარჩენას სთხოვდნენ, ლენინი ადგა და წავიდა.

ბევრს უნახავს ფოტოსურათი: კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის სხდომის დროს ლენინი პრეზიდიუმის ტრიბუნის კიბეზე ზის და ორატორთა სიტყვებს იწერს. იგი დაგვიანებით მოვიდა, არ სურდა შეეწუხებინა პრეზიდიუმში მსხდომნი და კიბეზე ჩამოჯდა. ამ ფოტოზე ლენინს უბრალო კოსტუმი აცვია, არც ორდენი და არც მედალი არ უმშვენებს მკერდს. ისინი მას საერთოდ არ ჰქონია. 1920 წელს ლენინს ისევ ის საგულდაგულოდ გაწმენდილი პიჯაკი ეცვა, რომელსაც 1907 წელს ატარებდა. ეს ფოტოსურათი ელვას ჰგავს, ღიმის წყვდიადში რომ გზას გაგინათებს.

1919 წლის 23 აგვისტოს ლენინი მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს განყოფილებას სწერს: „მივიღე რა თქვენგან საბჭოთა მეურნეობების ხილის ნიმუშები... უმორჩილესად გთხოვთ აღარ გააკეთოთ ეს, ხილი და ა. შ. არ გამოგზავნოთ, მე კი მაცნობეთ მონაცემები, საერთოდ როგორ ანაწილებენ ხილს და ა. შ. საბჭოთა მეურნეობიდან ეძლევა თუ არა საავადმყოფოებს, სანატორიუმებს, ბავშვებს, სახელდობრ სად, სახელდობრ რამდენს...“

რა მრავლისმეტყველია ეს სიტყვები დღეს ხელმძღვანელებისათვის, ვკითხოთ საკუთარ თავს: ვიქცევით ასე მე, შენ, ის?.. ის განსაკუთრებით! სამწუხაროდ, ყოველთვის ყველანი არ ვაკეთებთ ასე. რამდენია ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც საჩუქრებს ღამით უგზავნიან, რათა მეზობლებმა არ დაინახონ...

ბევრის თქმელია 1922 წლის 19 მაისით დათარიღებული ლენინის წერილი ძერჟინსკისადმი: „ამხ. ძერჟინსკი! მე მებადება სერიოზული შიში: ხომ არ არის „გზა-ვიადებული“ ხარჯები ჩემი გარაჟისა... ხომ არ არის დრო... შევამციროთ მისი ხარჯები?..

გთხოვთ... საიმედო, საზრიან, მცოდნე კაცს დაავალოთ შეამოწმოს, ხომ არ შეიძლება შეგამციროთ და შეგვკვეცოთ ხარჯები...“

ამ ბარათს აწერია ფელიქს ძერჟინსკის დასკვნა: „მიმაჩნია, რომ აქ შემცირება დაუშვებელია... განაკვეთები საერთოა. მანქანები ყარგად არის მოვლილი. მანქანებს ფუჭად არ დაარბენინებენ“.

მკითხველო, ყურადღება მიაქციე სიტყვებს: „მანქანებს ფუჭად არ დაარბენინებენო“. დღეს კი ძალიან ხშირად ზოგიერთი ხელმძღვანელის პერსონალური მანქანა ოჯახის წევრთა პერსონალურ ავტომანქანად არის ქცეული. საათობით დგანან და ელოდებიან მანქანები ოჯახის წევრებს... ცხოვრება ცხოვრებაა. მეუღლეც შეიძლება ჩაჯდეს მანქანაში, შვილიშვილიც, სტუმარიც, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ორგანიზაციის, სამინისტროს, ინსტიტუტის და სხვათა მუშაკები, ჩვეულებრივ, უფროსის პერსონალური მანქანით არასოდეს არ სარგებლობენ სასწრაფო, აუცილებელი საკითხის მოგვარების დროსაც კი. ეს კი შეუწყნარებელია რადგან პერსონალური მანქანა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი შენი საკუთარია.

ლენინის მთელი ცხოვრება პატიოსანი ადამიანებისათვის, თანამებრძოლებისათვის უსაზღვრო მეგობრული ზრუნვის განსახიერებაა. ისტორიამ შემოინახა ამ გულისხმიერების მრავალი დაუვიწყარი მაგალითი. 1921 წლის 15 ნოემბერს ლენინი წერს ბარათს: „... სტალინს კრემლში ისეთი ბინა აქვს, რომ მას ძილს არ ანებებენ (იქვე სამზარეულოა—ადრე დილიდანვე ხმაური ისმის).

ამბობენ, თქვენ გიკისრიათ მისი გადაყვანა მყუდრო ბინაში. გთხოვთ გააკეთოთ ეს რაც შეიძლება მალე და მომწერეთ, შეგიძლიათ თუ არა გააკეთოთ ეს და როდის“.

სად იყო ახალი ბინა? ვინ არჩევდა, რომელ სართულზე იქნებოდა ბინა. გამონაცვალს ვინ იწუნებდა, ოღონდ მიეცით! დღეს რა დაგვმართა — მე, შენ, მას? მას განსაკუთრებით!

1918 წლის აპრილში ლენინმა დეპეშა გაუგზავნა სიმბირსკის ერთ-ერთ საბჭოს თავმჯდომარეს. იგი დანიტერესებული იყო სემინარიის ინსპექტორის ივანე იაკოვლევის ბედით, იაკოვლევი 50 წელი მუშაობდა ჩუვაშთა ეროვნული აღორძინებისათვის, რისთვისაც ცარიზმი დეგნიდა. ამ დეპეშის დედაზზე ლენინის ხელით წარწერილია: „გთხოვთ ამ დეპეშის ანგარიში პირადად გამომგზავნოთ“. და ეს იმიტომ გააკეთა, რომ დეპეშა სამსახურებრივი ხასიათისა არ იყო. ახლა კი ვინ მოთვლის რამდენია შემთხვევა, როცა ხელმძღვანელები დაწესებულებათა ხარჯზე გზავნიან პირად დეპეშებს ან სამსახურებრივი ტელეფონით საქალაქთაშორისო ხაზით თავიანთ პირად საქმეზე ლაპარაკობენ.

მარქსის შესანიშნავი ოჯახის მაგალითი იმის საუცხოო ნიმუშია, თუ როგორ უნდა შეიქმნას სასურველი ოჯახური ატმოსფერო. ოჯახში ვერ ითმენდნენ ცხოვრების სიძნელეებზე წუწუნსა და ჩივილს, აქ ოპტიმიზმი, ხალისი, ტაცაება სუფევდა. მეგობრული გამოჯანრება, სახუმარო შერქმეული სახელები ორგანული ნიშანთვისება იყო იმ ემოციური განწყობილებისა, რომელიც ამ სახლს, ყველასათვის მშობლიურად აქცევდა. ყენი ფონ ვესტფალენი — მარქსის მეუღლე — ამაყობდა თავისი მეუღლის „საპატიო“ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯუმბერ პატიაშვილი აღნიშნავდა, რომ, შეუმჩნეველი არაფერი რჩება. კომუნისტის, ხელმძღვანელის ცხოვრება ყველას თვალწინ, როგორც ხელისგული, ისე მოჩანს. უმცირეს ბედარ საქციელს, წინდაუხედავ ნაბიჯს არაკინ გაპატიებს.

ლენინისათვის დამახასიათებელი თვისება იყო სიმკაცრე მექრთამეების, კარიერისტების, ბიუროკრატების მიმართ, დაუნდობელი შეურიგებლობა პარტიისა და ხალხის მტრების მიმართ. იგი გადაჭრით წყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას ყველაზე მახლობელ ამხანაგებთანაც კი, როცა ეს უკანასკნელნი მცდარ პოზიციაზე დგებოდნენ და არ სურდათ სწორი გზით სიარული. მასში უბრალოება, თავმდაბლობა სიმკაცრესთან იყო შეხამებული.

როდესაც რომელიმეს მუშაობაში უთავბოლობას ამჩნევდა, ლენინი თავის აღშფოთებას არ ჰფარავდა და დამნაშავეებს კალმით ამათრახებდა მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი ექავთ იმ ხანად, ან რა დამსახურება ჰქონდა წარსულში. ლენინს თვალში ბეღდა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ცუდად გამოცემული ბროშურა კომუნისტური ინტერნაციონალის შესახებ და 1929 წლის 24 ოქტომბერს გამომცემლობის დირექტორს ვ. ვ. ვოროვსკის სწერს: „გადავთვალიერე რა ბროშურა „III ინტერნაციონალი. 1919 წ. 6-7 მარტი“, ვიცხადებთ სასტიკ საყვედურს ასეთი გამოცემისათვის და მოვითხოვ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის ყველა წევრმა წაიკითხოს ჩემი ეს წერილი და შემიფაროს იმის გარანტია სერიოზული ღონისძიებანი, რომ ასეთი უმსგავსობა აღარ განმეორდეს.

ბროშურა საზიზღრად არის გამოცემული. ეს რაღაც ნათითხნია. სარჩევი არა აქვს. ვიღაც იდიოტს თუ დაუდევარს, აშკარა უვიცს რობის დიდებული მაგალითია. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ ბელადის სამართლიანი სიმკაცრეც.

სხდომებზე დაგვიანებულ ბ ს ლენინი საყვედურით ხვდებოდა და თავის სათხე მიუთითებდა, ან შენიშვნას აძლევდა. ერთხელ როცა სხდომაზე ერთბაშად რამდენიმე კაცმა დაგვიანა, მისი წინადადებით სახკომსაბჭომ გადაწყვიტა: ეცნობოს ყველა სახალხო კომისარსა და კოლეგიის წევრს, რომ შემდგომი სხდომიდან ძალაში შევა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი დაგვიანების შესახებ.

ეს დეკრეტი მიიღეს 1920 წლის აპრილში იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილიყო სამუშაოსადმი გულგრილი დამოკიდებულება. მაშინ ბევრი ძველი ჩინოვნიკი საბოტაჟს აწყობდა საბჭოთა დაწესებულებებში. უმიზეზოდ 10 წუთზე მეტი დაგვიანებისათვის პირველად გამოეცხადებოდათ საყვედური სხდომის ოქმში შეტანით, მეორედ — დღიური ხელფასს უქვითავდნენ, მესამედ კი — საყვედურს პრესის მეშვეობით უცხადებდნენ.

ასე მუშაობდა და იბრძოდა ლენინი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის მკაცრი იყო ყველას მიმართ, ვინც არღვევდა პარტიულ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინას. აი, ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი. 1929 წლის 22 ივლისს „პრავდაში“ გამოქვეყნდა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილება ანატოლი ვასილის ძე ლუნაჩარსკის მიერ ჩქარი მატარებლის არაკანონიერი შეყოვნების შესახებ. მასში ნათქვამი იყო: „განათლების სახალხო კომისარს ამხ. ა. ვ. ლუნაჩარსკის შრომითი დისციპლინის დარღვევისათვის, რაც გამოიხატა იმით, რომ წინადადება მისცა ლენინგრადის სადგურის უფროსს შეეჩერებინა ჩქარი მატარებელი 15 წუთით სახელმწიფო საჭიროების გარეშე, გამოეცხადოს საყვედური“. მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო იმ ფაქტს, რომ აქმე ეხებოდა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტ ჰქონდა.

ცხოვრება რთულია. პატიოსანი და უპატიოსნო ხელმძღვანელები არ გვევლინებიან „წმინდა“ სახით. არცთუ იშვიათად უპატიოსნო ხელმძღვანელები პატიოსნის სამსახით ირთვებიან და ყოველთვის ადვილი არ არის ერთმანეთისაგან მათი გარჩევა. ზოგიერთს თავი ისე მოაქვს, თითქოს მტრედივით უმანკო და კრავივით უცოდველი იყოს. მაგრამ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. როგორ არ გავიხსენოთ დიდი ლენინის სიტყვები: „მშრომელი მასა უდიდესი სიმახვილით აშჩნევს განსხვავებას პატიოსან და ერთგულ კომუნისტებსა და ისეთებს შორის, რომლებიც ზიზღს იწვევენ იმ ადამიანში, რომელიც ოფლით მოიპოვებს ლუკმა-პუროს, ადამიანში, რომელსაც არა აქვს არავითარი პრივილეგია, არავითარი „გზა უფროსებისაკენ“.

უდიდესი ბასრი სიმახვილით შეაჩნიეს და ამხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა და ჩვენმა ხალხმა უპატიოსნო ხელმძღვანელები. მათ მზის სინათლეზე გამოიტანეს და სამარცხვინო ბოძზე გაკიერეს ზოგიერთი ისეთი ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პასუხსაგები პარტიული და საბჭოთა პოსტები ეკავათ, მაგრამ დაკარგეს კომუნისტის, ხელმძღვანელის სახე, რომელთა მთელი ბეღნიერება ის იყო, რომ გაეკეთებინათ რაც შეიძლება მეტი ფული, დაეგროვებინათ რაც შეიძლება მეტი. მათთვის „ფული იყო ყველა და ყველაფერი. ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ დამთავრდა მათი „მოღვაწეობა“. ასე იქნება ყოველთვის. ხანგრძლივი, თენეიშვილის, ბუჩუკურის და სხვათა ძმამ ეფექტურად მშრომელთა ერთსულოვანი სიძულვილი და სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. საშიშია მექრთამე, მაგრამ ასმაგად საშიშია მექრთამე ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკი. ისინი პარტიისა და ხალხის შენიღბული მტრები არიან. მათ და მათნაირებმა მოსცხეს ლაჟა საქართველოს კომპარტიის სახელოვან დროშას. მათ პარტიული კომიტეტების — ჩვენი რევოლუციური შტაბების კაბინეტები — ქრთამის მიცემის და აღების ადგილად, სიცრუის და ორპირობის ადგილად აქციეს...

მსგავსთა ფეხქვეშ მიწა გავარვარებულ ლავად უნდა იქცეს. ასეთი ბრძოლა, ასეთი წმენდა, როგორც მიუთითებდა ლენინი „...უდიდესი საქმეა. იგი სერიოზულ შედეგებს მოგვცემს. იგი პარტიას გახდის კლასის გაცილებით უფრო ძლიერ ავანგარდად, ვიდრე წინათ იყო...“

ჯერ კიდევ გვყავს ხელმძღვანელები, რომლებიც უხვშად არღვევენ პარტიული საწევროების შეტანის წესს, უმიზეზოდ აგვიანებენ მის შეტანას, ან სრული შემოსავლიდან არ იხდიან. ისინი გათავხედნენ, და ვინ მოთვლის, რამდენია შემთხვევა, როდესაც პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები თვითონ მიდიან ხელმძღვანელებთან მათგან პარტიული საწევრო ანარიცხების ასაღებად.

კვლავ მივმართოთ მაგალითისათვის ლენინს. იგი ყოველთვის თავის დროზე იხდიდა პარტიულ საწევროს და ყოველთვის პირადად მიდიოდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანთან. როდესაც სთხოვეს, რომ იქნებ პირადად არ მისულიყო პარტიული საწევროს გადასახდელად, მან სთქვა: ჩემს პარტიელეთს მე არავის არ ვანდობ... პარტიისათვის ჩვენ ყველანი, რიგითები ვართ...

და დიდებული სიტყვებია: პარტიისათვის ჩვენ ყველანი რიგითები ვართ... დღეს რა დაგვემართა — მე, შენ, ის? იმას, განსაკუთრებით!

ადამიანები ამბობენ: ჩვენი რაიკომი, ქალაქკომი, საოლქო კომიტეტი, ჩვენი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მაგნიტია, რომელიც იზიდავდა და იზიდავს კომუნისტთა გულებს, უპარტიო მასების გულებს. იგი ნამდვილად უნდა იყოს პარტიული პატიოსნების ტაძარი. ადამიანებს იმედი აქვთ, რომ აქ ყოველთვის მზად არიან სულით და გულით, ლენინურად დაეხმარონ ადამიანებს. აქ მომუშავე ამხანაგები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი სინდისის წინაშე, ადამიანებისა და პარტიის წინაშე.

ყველაფერი წყალში ჩაიყრება, თუ დაიკარგა ეს მიმზიდველი ძალა. მაგრამ ეს არასოდეს მოხდება, ზოგიერთი ცალკეული ხელმძღვანელის სამარცხვინო საქციელი ვერ შეარყევს ამ ძალას, რადგანაც ჩვენს პარტიულ კომიტეტებს მუხასავით ღრმად და მტკიცედ უდგათ ფესვები ნიადაგში — ხალხის გულში. მუხა კი არასოდეს იღუება. თუ მას გასხლავენ, დამპალ ტოტებს მოაჭრიან.

ცოტა ხნის წინათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც დიდხანს ეხსომებათ მის მონაწილეებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მწვავე, მაგრამ სამართლიან მოხსენებაში ითქვა: ზოგჯერ გაოცდები, თუ რა მეტამორფოზა მოსდით ადამიანებს. გუშინ თითქოს თავმდაბალი, თავაზიანი, ის კი არა, მორცხვი ადამიანი იყო. მაგრამ დაანინაურეს თუ არა თანამდებობაზე, მაშინვე ყველას თვალწინ შეიცვალა: ქედმაღლურად იქცევა, აგდებულად ლაპარაკობს, ძლივს ესალმება ხალხს, სადღაც განზე ართმევს ხელს.

ჭეშმარიტად ასეა! კეთილი, თბილი სიტყვა ითქვა მოხსენებაში მგზნებარე, თავდადებულ ხელმძღვანელებზე. მათი სახელი ლეგენდაა. აღნიშნა გაერთიანება „საქქაღალდრეფვის“ გენერალური დირექტორის ო. ფაცაციას და სხვათა მაგალითები, რომლებიც გარდაქმნას არ დალოდებიან და თავიდანვე აქტიურად მუშაობდნენ. ოთარ ფაცაციასათვის დამახასიათებელია საქმის ღრმა ცოდნა. ფართო პოლიტიკური ჰორიზონტი, თავმდაბლობა და უბრალოება. სიმკაცრე თანამშრომლების მიმართ შერწყმული აქვს მათზე მზრუნველობასთან. თუ გაიგო, რომ ადამიანს რაიმე უჭირს, ყოველნაირად ეხმარება პრობლემების გადაჭრაში.

რამდენჯერმე ვყოფილვარ ამ ორგანიზაციაში და ვიცი; მას ნახავთ ღამის ცვლაში, მუშათა სასადილოში, საერთო საცხოვრებელში, თანამშრომლთან ა ა ჭირში და ლხინში, ყოველთვის იცის რაზე ფიქრობს, რა აწუხებს კოლექტივს. ამიტომ უყვართ და პატივს სცემენ მუშები, ამიტომ აქვს მას ნდობა და ავტორიტეტი, ამიტომ ყოველთვის სჯერათ მისი კაცური სიტყვისა. და არ ახსოვთ, რომ ვინმეს არ შეეასრულებინოს მისი მითითება. ახლა დრო ასეთია: იმისათვის, რომ ხელმძღვანელმა ავტორიტეტი და პატივისცემა მოიხეკოს მხოლოდ თანამდებობა და სიტყვა არ კმარა. საჭიროა პირადი მაგალითი და კონკრეტული საქმეები. სწორედ ასეთია ეს კაცი. გუშინ ძველი გამოცდილი პარტიული მუშაკი, დღეს კი დიდი სამეურნეო ხელმძღვანელი.

მიხეილ კალინინი ერთ-ერთ თავის გამოსვლაში მისთვის ჩვეული უბრალოებით და ხატოვნად ამბობდა, რომ რაიკომის მდივანი მუშა ცხენია პარტიაში და კარგია, რომ „პრავდა“ სისტემატურად აქვეყნებს დადებით წერილებს, ნარკვევებს პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ავტორიტეტიანი პირველი მდივნების საქმიანობაზე.

რესპუბლიკაში. საბედნიეროდ, ბევრი სპეტაკი, საქმის მცოდნე და ერთგული, ავტორიტეტიანი პარტიული მუშაკი გვყავს. ერთ-ერთი მათგანია ამხანაგი გურამ გუნავა. პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველ მდივნად იგი 1977 წლის ივნისში აირჩიეს. რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე იყო. ბევრს ხელი ჩაქნეული ჰქონდა. მოისუსტებდა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა... პირველმა მდივანმა დარაზმა ხალხი, კომუნისტები. ვყოფილვარ რაიონში და ვიცი: იჩენდა სიმამაცეს, ნებისყოფას და, სადაც საჭირო იყო, ვაჟკაცობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მხარდაჭერით რაიონში ძირეულად გარდაიქმნა მდგომარეობა...

შვიდწელიწად-ნახევრის შემდეგ პარტიის ლენტეხის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი აბაშის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას ჩაუყენეს სათავეში. როგორც კი ლენტეხელებმა მათი პირველი მდივნის გადაყვანის ამბავი გაიგეს, მკაცრი ზამთრის მიუხედავად — დეკემბერი იდგა — ყოველგვარი გაფრთხილებისა და ორგანიზების გარეშე ორმოცდათორმეტივე სოფლის წარმომადგენლებმა რაიონის ცენტრში მოიყარეს თავი. ეს მადლობელი ხალხი თვითონ ჩამოვიდა რაიონის კომუნისტთა ხელმძღვანელის გასაცილებლად. ისინი სვანური გულახდილობით, მომავალი წარმატებების სურვილებით, „ლილეოთი“ და მრავალფამიერით აცილებდნენ მდივანს, ამხანაგს, მეგობარს... ეს საქმის, რწმენის გამარჯვება იყო. მაგრამ გ. გუნავა ამას არ გაუყოყოჩებია. იგი ახალ სამუშაოზეც თავმბადლურად და გაბედულად, დღეკვანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად წყვეტს საკითხებს, არ თაკილობს სხვათა გამოცდილების გაზიარებას, თანამოსაქმე პარტიულ მუშაკებთან ერთად ახალი წარმატებებისათვის რაზმავს რაიონის კომუნისტებს, მშრომელებს, რომლებმაც ჩვენს რესპუბლიკას საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი.

დღეს ჩვენში იშვიათად თუ მოიძებნება კაცი, რომელიც სისტემატიურად და დიდი ინტერესით არ კითხულობდეს გაზეთებში დაბეჭდილ მასალებს რუბრიკით: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მათში ადამიანები პოულობენ პრინციპულ და სამართლიან კრიტიკას, ნათლად ხედავენ და მხარს უჭერენ დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებებს. მაგრამ ერთია საკითხავი: ყოველთვის იწვიან კი სირცხვილისაგან ის პარტიული მუშაკები, მინისტრები, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომლთა მისამართით ხშირად გაისმის ერთი და იგივე მძაფრი საყვედური? ისინი კი ძველი გაცვეთილი ფრაზებით — „ვეცდებით უკეთ ვიმუშაოთ“... „აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს“ — ინუგეშებენ თავს და დაპირებებით თავს აბეზრებენ სხვებს, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, ყველაფერი ძველებურად რჩება.

ასეთი ტიპის მუშაკებს ი. ბ. სტალინმა ჯერ კიდევ პარტიის XVII ყრილობაზე უწოდა პატიოსანი, გამოუსწორებელი მოლაუბელები, რომლებსაც შეუძლიათ ყოველგვარი ცოცხალი საქმე ჩაახშონ ლაყბობაში.

ზოგიერთ ხელმძღვანელს არ ჰყოფნის გამბედაობა მიიღოს მის მიმართ გამოთქმული სამართლიანი, მწვავე კრიტიკა. და ხშირად შანტაჟის, მუქარის და პროვოკაციების გზას ადგება, დემაგოგიურ აღვირახსნილობას იჩენს, ყველას ქორის თვალით უყურებს, ცდილობს სახელი გაუტეხოს პატიოსან მუშაკებს.

და ყოველივე ამას აკეთებს მას შემდეგ, როცა დაკავებული ხელმძღვანელი თანამდებობიდან გაათავისუფლებენ. ისინი ამის შეუდარებელი ოსტატები არიან. ეს ძველი და მცდარი მეთოდია. ეს სახიფათო, მოლიპული გზაა. ასეთი ხელმძღვანელი იყენებს ისეთ გამოთქმებს, რომელიც მის თანამდებობას არ შეეფერება, ყოველნაირად ცდილობს გარს შემოიკრიბოს უკმაყოფილო, საძრახოს საქციელში მხილებული პირნი, და იწერება უწყვეტ ნაკადად უსაფუძვლო საჩივრები, ანონიმური წერილები. მას დაშინებული ჰყავს უხერხემლო ხელმძღვანელები. მათი დემაგოგიური მეთოდია: „მე ყველაფერს ვიტყვი“, „მე ყველაფერს დავწერ“...

ასეთი ადამიანების მიმართ უნდა მივიღოთ მკაცრი ზომები. ისევ ლენინი გავიხსეოთ: 1918 წლის აპრილში მან არხანგელსკის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა, რომ, როგორც მას გადასცეს, აღმასკომის თავმჯდომარე ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებას თურმე უაზროს უწოდებდა. „...მე თქვენ ამის გამო გიცხადებთ ოფიციალურ საყვედურს და გაფრთხილებთ, თუ უკანვე არ წაიღებთ ესოდენ დაუშვებელ გამოთქმას, აღვირავთ საკითხს, რომ თქვენ სასამართლოში მიგცენ“...

ცოტა ხნის წინათ შესანიშნავად თქვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა: „დემოკრატია სულაც არ ნიშნავს ანარქიას და განუკითხაობას, პირადი ანგარიშების გასწორებას, ან ვინმეს გათათხვას ანგარიშსწორების მიზნით“. ეს ძალიან ბევრს ავიწყდება!

არაფერს არ მოუტანია ხელმძღვანელისათვის, საქმისათვის იმდენი ზიანი, რამდენიც პირმოთნეობას, ლაქუცს, მაამებლობას. ამ მოვლენების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ არა კანტიკუნტად, არამედ „ჯვაროსნულად“, რადგან ბევრგან ამ ბრძოლის ალი მკრთალად ანათებს.

კომკავშირის XX ყრილობაზე ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი ამბობდა: „გარდაქმნას სჭირდება მტკიცე მოქალაქეობრივი განწყობის, სოციალისტური იდეური მრწამსის ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ თავიანთი ზნეობრივი მოვალეობის სიმაღლეზე იყვნენ, მტკიცედ იცავდნენ ჭეშმარიტებას და არ არიან მაამებლები და პირფერები“.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ კარლ მარქსი. ქალიშვილების კითხვას — „ნაკლი, რომელიც თქვენში ყველაზე უფრო მეტ ზიზღს იწვევს?“ — მან უპასუხა: „მლიქნელობა“.

ბრძოლისა და შრომისათვის, რევოლუციური გარდაქმნისათვის დიდი ამოცანები დაუსახა ქართველ კომუნისტებს, რესპუბლიკის მშრომელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა. ქართველ კომუნისტთა დიდი არმია და მთელი ხალხი რწმენით და იმედით შეჰყურებს მომავალს.

და დღეს, ვით არასოდეს, ჩვენს მძლავრ რევოლუციურ კომპარტიას და ჩვენს შრომისმოყვარე, პატიოსან ხალხს სჭირდება კრისტალივით წმინდა, გაბედული, შრომისმოყვარე, თავმდაბალი, პრინციპული ხელმძღვანელები, და სჭირდ ე ბ ა, როგორც სუნთქვა, როგორც იმედი, როგორც რწმენა!

...უამისოდ ცხოვრება უმზეო დილას დაემსგავსებოდა.

ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ᲛᲮᲘᲚᲓᲠᲣᲚᲘ ᲪᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲜᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

რი კომიტეტის მდივანმა ა. ვ. შარაშიძემ, სერეანტმა ი. მ. უმბაევემ, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერმა, უფროსმა ლეიტენანტმა გ. ა. ბასიაშვილმა, გასაწვევის დედამ, თბილისის №7 საშუალო სკოლის პედაგოგმა ნ. გ. ასლამაზაშვილმა, ქალაქ თბილისის 26 კომსომოლის სახელობის რაიონის პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჭ. ლომიამ.

ისინი აღნიშნავდნენ, რომ გასაწვევთათვის იწყება ცხოვრების რთული და ძალზე საინტერესო ხანა. არმია კარგი სკოლაა, რომლის შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ უფრო სწრაფად, უფრო გულდაჯერებით დაიკავონ ღირსეული ადგილი ჩვენი საზოგადოების რიგებში, მიიღონ მონაწილეობა ახლანდელ რევოლუციურ გარდაქმნებში.

შეკრებაზე ჩამოსულთაგან მრავალს მოუწევს სამსახური შორეულ გარნიზონებში, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებში, ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. მათ მიეცათ განაწესი ღირსეულად წარმოადგინონ თავიანთი ოჯახი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მთელი რესპუბლიკა სსრ კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალების რიგებში, ემსახურონ სამშობლოს პატიოსნად, პირნათლად შეასრულონ კონსტიტუციური მოვალეობა, ყოველთვის მზად იყვნენ ოქტომბრის დიადი მონაპოვრების, ჩვენი ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლური შრომის დასაცავად, როგორც ეს გააკეთეს, როცა საჭირო იყო, მათმა მამებმა, პაპებმა და ძმებმა.

შეკრების მონაწილეებმა არმიაში გაწვევის უწყებები მიიღეს მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულის — დიადი გამარჯვების დღესასწაულის წინ. უმძიმეს ბრძოლებში გაძლო ჩვენმა ხალხმა და შემუსრა სისხლისმსმელი მტერი. მრავალი, მათ შორის საქართველოს თითქმის ყოველი მეორე წარგზავნილი, ვერ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან. საბჭოთა ადამიანები სათუთად ინახავენ მათ წმიდათაწმიდა ხსოვნას. მაგრამ ეს ხსოვნა მარტო გულებში როდი უნდა ცოცხლობდეს. ჩვენი ხალხის საბრძოლო ტრადიციები უნდა გაგრძელდეს ახალგაზრდებმა, მათ უნდა ატარონ ძლევამოსილი მხედრული დროშა, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში დამხობილი რაიხსტაგის თავზე აღმართეს რუსმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიამ.

არმია ინტერნაციონალიზმის დიდი სკოლაა, აღინიშნა შეკრებაზე, ახალგაზრდა მეომ

ინფორმაცია • მოვლენები

ორიოდ სიტყვით

◆ **რიგორი** იქნება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ქალაქები და სოფლები XXI საუკუნეში? ამ კითხვაზე პასუხის ძიებას მიეძღვნა სსრ კავშირისა და პოლონეთის მეცნიერ გეოგრაფთა ერთობლივი გამოკვლევები. სწორედ ამ პრობლემებს განიხილავდა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის VI სემინარი, რომელიც თბილისში ჩატარდა. მისი ორგანიზატორები არიან სსრ კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიები.

◆ **ვილაცას** კარგად უთქვამს, ყველას თავისი პუშკინი ჰყავსო. მთელი ცხოვრების მანძილზე მიგიოდა თავისი პუშკინისაკენ ქობუღეთელი ინჟინერი მამია ხარაზი: მას დიდი რუსი პოეტის წიგნების უნიკალური კოლექცია აქვს. მის პირად ბიბლიოთეკაში ორი ათასზე მეტი გამოცემაა. აქედან ხუთასი პუშკინის თხზულებანი და მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნებია. საოჯახო ბიბლიოთეკის ცაღვე „თავია“ ქართული პუშკინიანა. მარტო საბჭოთა პერიოდში პუშკინის ნაწარმოებები საქართველოში თითქმის 60-ჯერ გამოიცა და საერთო ტირაჟმა 700 ათას ეგზემპლარს გადააჭარბა. ყველა ეს წიგნი ირიცხება ხარაზის კოლექციების აბონემენტში.

◆ **გარდაქმნა**, დემოკრატიის განვითარება, საჯაროობის გაფართოება დღე ასპარეზს უშლის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოების ზეგავლენას. მათი მუშაობის ეფექტიანობა ხომ პირდაპირ არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხარდაჭერაზე. ეს აზრი დაიტმოტივად გასდევდა თბილისში დამთავრებულ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას „სამართლებრივი აღზრდა, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და სამართალდაცვითი ორგანოები“. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ბეღორუსის, აზერბაიჯანისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების პროკურატურის, იუსტიციის, სასამართლოს და მილიციის ორგანოების წარმომადგენლები.

◆ **ელექტრონულ-გამოთვლითი** მანქანების დახმარებით უმარტივესი აღგებრული განტოლებების სისტემების ამოსახსნელად ურთულესი : გაანგარიშებანი მოახდინეს ისეთ პასუხსაგებ ობიექტებზეც კი, როგორიც არის თაღოვანი კაშხლები. ეს განახორციელეს საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა. მეცნიერებმა შეიმუშავეს განტოლების დახმარებით მათი გაანგარიშების ანალიზური ხერხი.

◆ **თბილისში** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაიხურა გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროსადმი მიძღვნილი 300-ზე მეტი დასახელების წიგნი და ჟურნალი.

◆ **თბილისს** სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართული კონცერტი სერიოზული შემოქმედებითი გამოცდა გახდა უძველესი მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა სიმებიანი კვარტეტისათვის. ეს კოლექტივი გიორგი ბაბუაძის, მაკუკა ფარესიშვილის, კახაბერ ბერიშვილისა და ია ბახტაძის შემადგენლობით ჩვენს რესპუბლიკას წარმოადგენს ახალგაზრდული სიმებიანი კვარტეტების III საკავშირო კონკურსზე. დათვალიერება გაიმართება ვორონეჟში 15-დან 25 მისამდე. საპატიო წოდებისა და ჯილდოების უფლების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ოვდასამი ანსამბლი.

◆ **საქართველოს** ედეადაკი და გერმანიის ადაკი კარლ-მარქს-შტადტი მუსიკალურმა თანამშრომლობამ დააკავშირა. გამარჯვების დღესასწაულზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცის ქვეშ ქართული მუსიკა აჟღერდება. დირიჟორ კუბაეს ხელმძღვანელობით ადგილობრივი სიმფონიური ორკესტრი მუსიკის მოყვარულებს შესთავაზებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს.

◆ **შუახევი**. ზამდეთი ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელია. აქაური მოსახლეობა მოკიდებული იყო მხატვრულ ღონისძიებებს. ეს კი არა და, კლუბის უვარგისობის გამო ფიზმის გამშვებაც კი არ უხერხებოდათ. და აი, საღამასწაულად საეკსპოზიციოდ გადაეცა მრავალსართულიანი კლუბ-კინტორა, რომლის პირველი სართული მთლიანად კლუბს უკავია. ახალმა, ქათქათა ნაგებობამ, მართლაც რომ, დაამშვენა სოფელი.

◆ **ზესტაფონი**. საპირველმაისოდ ფეროშენადნობთა ქარხნის კვაღითის მუშათა დასახლებაში გაიხსნა ახალი სასურსათო მაღაზია.

მაღაზია კეთილმოწყობილია, დამონტაჟებულია ახალი დახლები და დანადგარები. მოსახლეობას მომსახურებას უწევენ კვალიფიციური სპეციალისტები.

საიმედო საფუძველი

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების 17 წლისთავი

▼▼

პრაღა. საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული უშიშროების გადამწყვეტი ფაქტორია, წერს გაზეთი „რუდე პრავო“ იმასთან დაკავშირებით, რომ შეხვედრა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 17 წლისთავი. მარტო საბჭოეთთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მეოხებით ჩეხოსლოვაკიელი ხალხი ავერ უკვე 42 წელია აღშენებლობას მშვიდობიან პირობებში ეწევა.

ამ ხელშეკრულებამ, ხაზს უსვამს გაზეთი, სამიედო საფუძველი შეუქმნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას და უზრუნველყო ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის დარგში თანამშრომლობის სრულყოფის პირობები. სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა მჭიდროდ ურთიერთმოქმედებენ მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში. მშვიდობის განმტკიცებისათვის ერთობლივი მოქმედების პრინციპი, რომელიც ხელშეკრულებაშია ჩამოყალიბებული, ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა.

სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირი მტკიცედ დაადგა გარდაქმნის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზას. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნოვატორულ კურს, რომელიც მიზნად ისახავს რევოლუციურ გარდაქმნისა და საბჭოთა საზოგადოების ღრმა დემოკრატიზაციას. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, ისევე როგორც მოძმე საბჭოთა კავშირი, იბრძვის სოციალისტური საზოგადოების დაჩქარებული განვითარებისათვის, ახორციელებს 17 წლის წინათ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ იდეებს, წერს „რუდე პრავო“.

● კოლუმბია

ვითარება გამწვავდა

ბოგოტა. **გამწვავდა ვითარება კოლუმბიის ქალაქებში ბარანკაბერმეჯსა და გუვიარაში, სადაც ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების წევრმა ბანდიტებმა მოკლეს მემარცხენე ძალების პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი მიგუელროხას პარადო და 14 წლის სანდრა რონდონი.** იგი მხოლოდ იმიტომ მოკლეს, რომ უარი თქვა გამოსულიყო როგორც შემთხვევითი მოწმე ტერორისტული აქციისა, რეაქციამ რომ ჩაიდინა ბარანკაბერმეჯში კოლუმბიის კომპარტიის აქტივისტთა წინააღმდეგ. ორი ქალაქის მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად მძლავრი მანიფესტაციები და მიტინგები მოაწყო.

ღირსსახსოვარი თარიღები

ნანგრევებიდან აღმდგარი

8 მაისი ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების დღეა

▼▼



1945 წლის 8 მაისი იყო არა მარტო გერმანული ფაშიზმის, მისი არმიის, მისი სახელმწიფოს, მისი ტერორისტული პოლიტიკური სისტემის კრახის დღე, არამედ ამავე დროს თავისი უბოროტესი მტრებისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების დღეც — ასე წერს ამ დღის შესახებ თავის წიგნში „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლე ისტორია“ შტეფან დიორნბერგი.

მას შემდეგ 42 წელი გავიდა და „ნანგრევებიდან აღმდგარი“ ქვეყანა, როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნშია ნათქვამი, დღეს მომძლე სოციალისტური ქვეყნების მხარდამხარ შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევს ახალი სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში. მართალია, რესპუბლიკის შექმნის მომენტში მის ტერიტორიაზე ფაქტობრივად არ არაებობდა საკუთარი ნედლეულის ბაზა და მძიმე მრეწველობა, მაგრამ მან მაინც შეძლო მალე მტკიცედ ჩამდგარიყო მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოთა შორის. ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1949 წლიდან თითქმის შვიდჯერ გაიზარდა. ეს უმეტესწილად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მოხდა.

გერმანიის ეს ნაწილი, სადაც წინათ მხოლოდ სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, მსოფლიოში მანქანათმშენებლობის, ქიმიური, ელექტრონული მრეწველობის ნაწარმის ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორად იქცა, აწარმოებს რობოტებსა და კომპიუტერებს, კოსმოსურ ხელსაწყოებსა და ლაზერებს.

ასევე ინდუსტრიულ საფუძველზე მუშაობს სოფლის მეურნეობაც. აქ მოქმედებს ერთი კომბინატის შიგნით არსებული ურთიერთობის მსგავსი დამოკიდებულება, როცა ერთიან ჯაჭვში მუშაობენ კოოპერატივები, საცავები, ტრანსპორტი, გადამმუშავებელი საწარმოები.

ყოველგვარი სამუშაოების მექანიზაციის მაღალმა დონემ და კარგად მოფიქრებულმა ორგანიზაციამ უზრუნველყო, რომ შარშან რესპუბლიკის არცთუ შავმიწა ნიადაგზე საშუალოდ ჰექტარზე 46,2 ცენტნერი მარცვლეული და თითქმის 260 ცენტნერი კარტოფილი მიეღოთ. ხორცის მოხმარება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე აღემატება დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთის ბევრი სხვა ქვეყნის მაჩვენებლებს.

... მაგრამ ერთ-ერთი უძნელესი პრობლემა იყო იმ ადამიანთა სულიერი განწმენდა, რომლებმაც ფაშიზმი და ომი გადაიტანეს. ყველამ ერთნაირად როდი აღიქვა ფაშისტური მმართველობის კანონზომიერი ფინალი. ყველა ერთბაშად ვერ შეეგუა სოციალისტურ გარდაქმნებს. და არც ბურჟუაზიული გერმანული სახელმწიფოა განვლილი ეტაპი. იგი დღესაც იქვე, საზღვრისპირა ზლაგბაუმდან იწყება. ამიტომ სოციალიზმის უპირატესობებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეძლევა რეალური, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სოციალიზმი ძალითა და ენერგიით აღსავსეა, და მისი ძალაა მთელი ხალხის მონაწილეობა სამეურნეო კომპლექსის უკეთ ორგანიზაციაში. სწორედ ამ მიმართულებით ეძებენ რეზერვებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები. ეძებენ და აგნებენ. სწორედ ეს არის სოციალიზმის მარადიული გაზაფხული.

• • •

სურათებზე: ბერლინის სილუეტები; ბერლინის შპაგრმის დროს დაღუპულ საბჭოთა ჯარისკაცთა ძეგლი-მემორიალი. ტრადიციულად ასე მოაგებენ პატივს გმირ მეომრებს ტირგარტენის რაიონში.

საკადესის ფოტო.

● ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

„არჩევნების“ შედეგები

ჰარარე. **წინასწარი მონაცემებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველმა ნაციონალისტურმა პარტიამ, რომელსაც პიტერ ბოტა მეთაურობს, გაიმარჯვა პარლამენტის „თეთრკანიანთა“ პალატის არჩევნებში.**

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქონდა 3 მილიონზე ცოტა მეტმა თეთრკანიანმა ქვეყნის 31 მილიონ მცხოვრებთაგან. აირჩიეს პალატის 166 დეპუტატი, რომელსაც ქვეყანაში მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის. „არჩევნები“ აღინიშნა ქვეყნის ისტორიაში მკვიდრი აფრიკული მოსახლეობის უდიდესი გამოსვლით. გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტისა და სამხრეთ აფრიკის პროფკავშირების კონგრესის მოწოდებით მარტო იოჰანესბურგის, კეიპტაუნის, პორტ-ელიზაბეტისა და სხვა სამრეწველო ცენტრების შავკანიანთა გეტოებში სამუშაოზე არ გამოვიდა დაახლოებით ორი მილიონი კაცი. ბოიკოტი გამოაცხადეს სტუდენტებმა და მოსწავლეებმა. აფრიკელთა უბნების ქუჩებს თავით ფეხამდე შეიარაღებული ჯარისკაცები და პოლიციელები პატრულობდნენ.

● ᲒᲕᲘᲜᲔᲐ

განაჩენი გამოცხადდა

კონაკრი. **გვინეაში გამოაცხადეს 1985 წლის 4 ივლისს სახელმწიფო გადატრიალების ცდაში მონაწილეთა განაჩენი. სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა მიუსაჯეს 58 კაცს,** მათ შორის 1984 წლის 3 აპრილს ხელისუფლების სათავეში სამხედროების მოსვლის შემდეგ გადაყენებული მთავრობის რვა წევრს. დანარჩენ 120 განსასჯელს, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტის სეკუ ტურეს მეუღლესა და ვაჟს მიესაჯათ სხვადასხვა ვადის პატიმრობა.

● ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

შეიპყრეს ჯაშუშები

პეკინი. **გუანდუნის პროვინციის (სამხრეთ ჩინეთი) სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს სამი კაცი, რომლებსაც ჯაშუშობის ბრალდება წაუყენეს.** როგორც სინხუას საგაზეთო იუწყება, ისინი ჩინეთის ტერიტორიაზე შეგზავნეს ტაივანის Uეცესამსახურებმა და აგროვებდნენ საიდუმლო ინფორმაციას ჩინეთის სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების შესახებ, იბირებდნენ ახალ წევრებს თავიანთი ჯაშუშური ჯგუფისათვის.

● ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ

ვაშინგტონის კარნახით

ისრაელის კაბინეტის გადაწყვეტილება „ამერიკის ხმის“ გადამცემის შესახებ

ნიუ-იორკი. **ისრაელის მთავრობამ, რომელიც მზად არის აღახრულოს ამერიკის შეერთებული შტატების სურვილები, მოიწონა ქვეყნის ტერიტორიაზე მძლავრი რადიოგადამცემის მშენებლობის გეგმა. ამ გადამცემს გამოიყენებენ რადიოსადგურები „ამერიკის ხმა“, „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“.**

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომელიც იმოწმებს ისრაელის ხელისუფალთა ოფიციალურ წარმომადგენლებს, გადამცემი აშენდება ნეგევის უდაბნოში, წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ისრაელის ეილატის ნავსადგურიდან 72 კილომეტრზე. ამერიკის შეერთებული შტატების თელ-ავივის საელჩო ადასტურებს, რომ ობიექტის მშენებლობა, რომელიც ხუთ წელს გასტანს, შეერთებულ შტატებს სულ ცოტა 300 მილიონი დოლარი დაუჯდება.

მაგრამ ეს თანხა არ აწუხებთ ამერიკის ხელისუფალთ, რომლებიც შეპყრობილი არიან გადაწყვეტილებით, კვლავაც იარონ იმ ქვეყნების წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომის ესკალაციის გზით, რომელთა პოლიტიკა ხელს არ აძლევს ვაშინგტონს. გადამცემს ისრაელში გამოიყენებენ უმთავრესად სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბოროტგანზრახული სიყალბისა და პროვოკაციული ცილისწამების ტრანსლაციისათვის, რომლებსაც უხვად თითხნიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და თვით ისრაელის სპეცსამსახურები.

როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, ისრაელის ხელისუფალთა გადაწყვეტილება — ნება დართოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ მის ტერიტორიაზე შექმნას ახალი ძირგამომთხრელი ცენტრი, მოწმობს მათ განზრახვას „გაფართოონ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მმართველი სტრატეგიული თანამშრომლობა ვაშინგტონთან.

ᲐᲚᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

პალესტინის ერთიანობის აღსადგენად

ი. არაფატის პრესკონფერენცია

▼▼

კუვეიტი. **პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა არაბებს მოუწოდა შეაკავშირონ თავიანთი რიგები. აქ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ დადგა პალესტინის საკითხში საერთო არაბული პოზიციის გამომუშავების დრო. ეს ხელს შეუწყობს ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის მოწყობას, რომლის მოწვევა შესაძლებელია მხოლოდ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობით.**

ალჟირში დამთავრებულმა პალესტინის ეროვნული საბჭოს სესიამ, თქვა ი. არაფატმა, წარმატებით ჩაიარა. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია დაიცავს სესიის მიერ მიღებულ პრინციპებს. პალესტინის ერთიანობის აღდგენის საქმეში სესიის წარმატებას მხურვალედ მიესალმება ყველა პალესტინელი როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ისე მის გარეთაც. პალესტინელმა ხალხმა კვლავ დაადასტურა, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია მისი ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ საგანგებოდ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევა, ამასთან თქვა, რომ ამ რეგიონში საბჭოთა კავშირის პოლიტიკა კონსტრუქციული, თანამიმდევრულია და ითვალისწინებს პალესტინელი ხალხის ინტერესებს.

ეგვიპტის ხელმძღვანელობას და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას შორის უთანხმოების თაობაზე ი. არაფატმა განაცხადა, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია ცდილობს იგი მშვიდ ვითარებაში გადაწყვიტოს.

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ

მეკობრული რეიდები

ბეირუთი. **6 მაისს დილით ისრაელის თვითმფრინავებმა დაბომბეს პალესტინელთა ბანაკი აინ ალ-ჰილვა სამხრეთ ლიბანის ქალაქ სიდონ მახლობლად. ამ აგრესიულ აქციას შეეწირა 7 კაცი, 28 — დაიჭრა. გაჩნდა ხანძარი. წლის დამდეგიდან ეს ისრაელის ავიაციის მიერ ლიბანში პალესტინელთა ბანაკებზე მოწყობილი უკვე მე-14 მეკობრული რეიდია. ოკუპანტებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს დასახლებულ პუნქტებს ზაუტარს, ფრუნს, აინ-ტინახა და მეიდუნს.**

თელ-ავივის მხედრობინი განაგრძობს ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის კონცენტრაციას ეგრეთ წოდებული „უშიშროების ზონის“ საზღვარზე. აქ თავს უყრიან სატანკო კოლონებს, შორსმსროველ ქვემეხებსა და ნაღმსატყორცნებს. სამხრეთ ლიბანში, წერს გაზეთი „ას-საფირი“, ისრაელი გეგმავს ახალი ფართო მასშტაბის დამსჯელი ოპერაციის მოწყობას.

სოფელ ქფარ-ჰუნის შორიახლოს ლიბანის წინააღმდეგობის პატრიოტული ფრონტის მებრძოლთა მიერ დადებულ ნაღმზე აფეთქდა მარიონეტული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ ჯავშნტრანსპორტიორი. პატრიოტებმა ოკუპანტების პოზიციებს შეუტიეს ალმანისა და შუმერიას მაღლობებზე.

ლიბანის დედაქალაქში კვლავ შედარებით მშვიდი ვითარებაა. სადემარკაციო ხაზზე ატეხილი სროლით გამოწვეული ორი კვირის შესვენების შემდეგ გაიხსნა მიმოსვლა ბეირუთის აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებს შორის.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ქალი, ალკოჰოლი და კიბო

ვაშინგტონი. **ალკოჰოლის ზომიერი მიღებაც კი ქალებში მეტისმეტად ზრდის კიბოთი დაავადების საფრთხეს.** ამას მოწმობს მონაცემები, რომლებიც მოამზადეს კიბოვან დაავადებათა კვლევის ეროვნულმა ინსტიტუტმა და ჰარვარდის უნივერსიტეტმა. მეცნიერთა ორივე ჯგუფის კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ კვირაში სამჯერ მცირე დოზით ალკოჰოლის მიღებას შეუძლია კიბოთი დაავადების რისკი 30-100 პროცენტით გაზარდოს. კიბოვანი დაავადების წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკის საზოგადოების ვიცეპრეზიდენტის თქმით, ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ ალკოჰოლისადმი მიდრეკილება, მისი ზომიერად მიღებაც კი საგრძნობლად ზრდის კიბოთი დაავადების რისკს.

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲥᲘᲐ

მიწისძვრა ალასკაზე

ვაშინგტონი. **მომდევნო ოცი წლის განმავლობაში ალასკაზე შეიძლება უძლიერესი მიწისძვრები მოხდეს.** ასეთი დასკვნა გამოიტანეს ამერიკელმა სეისმოლოგებმა, რომლებმაც აწარმოვეს საგულდაგულო გამოკვლევები უახლესი აპარატურის მეშვეობით. მეცნიერები გამოყოფენ ალასკის სამხრეთ სანაპიროსთან ეგრეთ წოდებული „ფართო რკალის“ გასწვრივ მდებარე ხუთ ძირითად რაიონს, სადაც მიწისძვრა ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი. როგორც ცუნამის წინასწარ შეტყობინების ცენტრის თანამშრომელმა ჯორჯ კარტმა აღნიშნა, ამ ხუთი რაიონიდან ორი გახდება რიხტერის შკალით რვა ბალზე მეტი სიმძლავრის ოდესმე აღრიცხული მიწისძვრებიდან ყველაზე ძლიერი მიწისძვრების ეპიცენტრი.

კარტმა გაიხსენა, რომ 1964 წელს ალასკაზე მომხდარი 8,5 — ბალიანი მიწისძვრის — მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი მიწისძვრის შედეგად 131 კაცი დაიღუპა. მას თან სდევდა უზარმაზარი ტალღები — ცუნამი, რომლებიც თავს დაატყდა ალასკის სანაპიროს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ახლო მომავალში ამგვარი სტიქიური უბედურების საფრთხე ექმნება ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ რაიონებს. „პოტენციურად საშიშ“ რაიონებს ახლა განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობენ სეისმოლოგები. კარტის თქმით, დღეს მეცნიერებს შეუძლიათ მხოლოდ გააფრთხილონ მოსახლეობა, რომ საშიშროება ელით.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

იპოვეს ურნა დანტეს ნეშტით

რომი. **ურნა დიდი იტალიელი პოეტის დანტეს ნეშტით აღმოაჩინეს... რომის პარლამენტის ბიბლიოთეკის შენობაში.**

როგორც ცნობილია, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი გარდაიცვალა განდევნილობაში, მშობლიური ფლორენციიდან შორს, რავენაში. იმის შიშით, რომ პოეტის საფლავს წაბილწავდნენ, ადგილობრივმა ბერებმა ამოთხარეს მისი ნეშტი, რომელიც შემდეგ ფლორენციის მუზეუმში მოხვდა. სახელდობრ, როდის და რა გარემოებაში გაქრა მუზეუმიდან პატარა ოქროს ურნა წარწერით „დანტეს ნეშტი“, არ იციან ვინ მუზეუმის მუშაკებმა. ზოგიერთის ვარაუდით, ეს მოხდა 1935 წელს, როცა მუზეუმი ახალ შენობაში გადადიოდა, ხოლო სხვათა აზრით — 1966 წელს, არეულობის დროს, რომელიც სუფევდა ფლორენციაში ძლიერი წყალდიდობის გამო.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲔ



ა. ბაკურაძემ დაამუშავა გასტროენტეროლოგიურ სანატორიუმებში ავადმყოფთა გამოკვლევისა და მკურნალობის მეთოდები. მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე კურორტოლოგიისა და ბალნეოლოგიის განვითარებაში. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მის მიერ დამუშავებულმა ბალნეოფაქტორების მოქმედების მექანიზმების ნეიროჰუმორულმა თეორიამ.

პროფესორმა ა. ბაკურაძემ მთელი თავისი მდიდარი გამოცდილება და ღრმა ცოდნა მოახმარა ქართული მედიცინისა და ფიზიოლოგიის განვითარებას. მის კალამს ეკუთვნის 300-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო. ა. ბაკურაძის ხელმძღვანელობით შესრულებულია 90-მდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. იგი უყვარდათ ახალგაზრდებს, სტუდენტებს.

პროფესორი ა. ბაკურაძე არჩეული იყო საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრად, მთელი რიგი საკავშირო სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრად.

ა. ბაკურაძის დამსახურება პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით.

კომუნისტის, უანგარო და ღვაწლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის, შესანიშნავი მოქალაქის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბაკურაძის ნათელი ხსოვნა დარჩება ხალხის გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. ბ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუძიძე, ო. ე. ჩერაქეშია, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ბ. ჩოგოვაძე, ა. ნ. თავხელიძე, ი. ს. ეოორდანია, ი. ა. ფენალარიშვილი, ა. ვ. ასათიანი, ლ. კ. ბაბუნია, ს. ვ. ფურმოშიძე, ა. ფ. ზურაბაშვილი, ბ. რ. ნანეიშვილი, ს. პ. ნარიკაშვილი, ვ. ფ. ოკუჯავა, ო. ნ. ონიანი, ა. ი. როიტბაკი, ე. ა. სეხნიაშვილი, ა. ს. ფრანგიშვილი, ი. ვ. ფრანგიშვილი, ნ. ნ. ძიძიშვილი, მ. მ. ხანანაშვილი, ნ. ა. ჯაფარიძეშვილი, ბ. ნ. ჯიბლაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

სახელმწიფო მიღება: პირველი გაკვეთილები

რესპუბლიკის საწარმოებში პროდუქციის სახელმწიფო მიღების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრი განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის კომისიის მორიგ სხდომაზე. განიხილეს რა ისინი „პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, დეპუტატებმა და მოწვეულმა ამხანაგებმა — საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა, მეცნიერებმა და სპეციალისტებმა გამართეს საგნობრივი სკა-ბაასი ახლებურად მუშაობის პირველი შედეგების შესახებ, მომთხოვნელად გააანალიზეს არასაუწყებო კონტროლის პირველი გაკვეთილები.

ქმაყოფილებით აღინიშნა საწარმოთა კოლექტივების ურთიერთობის პოზიტიური შეცვლის ტენდენცია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხისა დ მ. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 50-ჯერ შემცირდა საჯარიმო სანქციები არასტანდარტული ნაწარმის მიწოდების გამო.

ამავე დროს გამოვლინდა სერიოზული ხარვეზებიც, რომლებიც ხელს უშლის არასაუწყებო კონტროლის წარმატებულ განხორციელებას. კერძოდ, საქმე ეხებოდა წარმებისა და სახელმწიფო მიღების ორგანოების არასათანადო უზრუნველყოფას საჭირო ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციით, შესაბამისი ტექნოლოგიური აღჭურვილობითა და მოწყობილობით, სახლი და საკონტროლო ხელსაწყოებით. ყველგან არ გარდაუქმნიათ ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაობა. კონტროლი არ ეწევა მიღებული ნედლეულისა და მასალების ნახვევრზე მეტს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის წარმოების საბოლოო შედეგებზე. ამის შედეგად ჯერ კიდევ დიდია მეორე წარდგენილ ნაწარმის მიღების პროცენტი.

კომისიამ სახელმწიფო მიღების პირობებში მომუშავე ყველა საწარმოს ხელმძღვანელის ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებასა და რიტმულობის უზრუნველყოფას. თავად სახელმწიფო მიმღებებს მიეცათ მითითება, რომ მკვეთრად გააააქტიურონ თავიანთი საქმიანობა, არ დაუშვან გაუმართლებელი ლიბერალიზმი, ბიუროკრატიზმი და ქაღალდომანიაზეობა. შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს, სამინისტროებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ გ. ა. ანჩაბაძემ.

სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. შ. კაბულოვი.

(საქინფორმი).

საუკეთესო პროექტების შექმნისა და ამ პროექტებით მშენებლობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის პრემიების მოსაპოვებლად

მას

ᲭᲘᲥᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲛᲘ ᲐᲪᲛᲝᲡᲕᲔᲠᲝᲡ ᲬᲐᲛᲚᲐᲕᲡ

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ, 22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲗᲨᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲒᲔᲓᲐ ᲤᲣᲚᲢᲝᲜᲘᲡ „ᲨᲔᲮᲐᲛᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲭᲘᲥᲝᲔᲑᲘᲡ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ, ᲠᲝᲡᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲚᲐᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ — ᲐᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲔᲚᲝᲡ ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ; ᲗᲕᲘᲗ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ — ᲛᲐᲢᲠᲐᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲡᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲫᲕ ᲧᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲝᲪᲘ ᲑᲝᲚᲝᲛᲘᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐ ᲛᲘᲜᲐᲡᲐ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ:

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად ამას წინათ შეამოწმა გაზეთ „კომუნისტში“ მოხსენიებული განყოფილება და აღმოაჩინა, რომ ოთხი წლის განმავლობაში ამ განყოფილებას გ. ყალიჩავას მეთაურობით ხელფასის ფონდიდან დახარჯული აქვს 180.000 მანეთი და არც ერთი კაბიკის საღირაღი არ მოუცია წარმოებისათვის. უნიათობისა და უსაქმურობის ამგვარი გამჭირვინება საფუძველად დაედო ჩვენს მიერ ერთობლივად საკითხის დასმას აღნიშნული განყოფილების გაუქმების შესახებ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲕᲔᲑᲘᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲙᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲛᲣᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲧᲐᲠ.

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲕᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲝ Გ. ᲧᲐᲚᲘᲩᲐᲕᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ Გ. ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲔᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲕᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲨᲘ“ ᲒᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ „ᲨᲔᲮᲐᲛᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲭᲘᲥᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ 1986 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲒᲑᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲐᲦᲘᲠᲐ ᲡᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲔᲑᲘᲗ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲡᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲓᲐᲛᲐᲛᲬᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ 180.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲡᲐᲦᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲪᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲣᲜᲘᲐᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲥᲛᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲭᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲠ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ. ᲡᲐᲮᲚᲘᲩᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲒᲑᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲐᲦᲘᲠᲐ ᲡᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ